ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება

როზეტა ასათიანი
სტუ-ს პროფესორი
marinassati@gmail.com

ეკონომიკური ზრდა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის ამსახველი კატეგორიაა. იგი ქვეყნის ეკონომიკის განვითრების **რაოდენობრივი მხარის** გამომხატველია. **ეკონომიკური განვითარება** გაცილებით ფართო მცნებაა, ვიდრე ეკონომიკური ზრდა. ეს უკანასკნელი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მახასიათებელია. ეკონომიკური განვითარება ეკონომიკის განვითარების **თვისებრივი მხარის** გამომხატველია და აქცენტებს ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციაზე აკეთებს. ეკონომიკური ზრდის მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი ანუ ინდიკატორია **მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მოსახლეობის ერთ სულზე**. გარდა ამისა, სხვა მაჩვენებლებიდან შეიძლება დავასახელოთ ქვეყნის მშპ-ის მოცულობა, მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ), წმინდა ეროვნული შემოსავალი, ეკონომიკის მთლიანი მოგება, ეკონომიკის წმინდა მოგება და ა.შ.

ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებია: რეალური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალო წლიური ზრდა, ბავშვთა მოკვდაობის დონე, სუფთა წყლით ხელმისაწვდომობა, ენერგიის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, სრული პირადი თავისუფლება, ჯანმრთელობის დაცვის დონე, განათლების დონე და ა.შ.

ეკონომიკურ ზრდას თუ არ ახლავს ეკონომიკური განვითარება ან, პირიქით, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მომხდარი პოზიტიური ძვრები თუ არ აისახება ეკონომიკურ ზრდაში, მაშინ ორივეს ექნება მოკლევადიანი ეფექტი და ქვეყანა მდგრად ეკონომიკურ განვითარებას ვერასდროს მიაღწევს.

საზოგადოებრივი ფასეულობა აქვს ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც საზოგადოების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასა და კეთილდღეობის ამაღლებაში გამოიხატება, ანუ საზოგადოებრივი ფასეულობა აქვს **ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას**, ანუ **საყოველთაო** ეკონომიკურ ზრდას. **მშპ მოსახლეობის ერთ სულზე** ყოველთვის როდი ასახავს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, მასში აისახება ეკონომიკის განვითარების მხოლოდ რაოდენობრივი მხარე, წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება, ხოლო ხარისხობრივი მხარე არ არის გათვალისწინებული, რაც საზოგადოების კეთილდღეობის სრულ სურათს არ იძლევა.

ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების პირობებშიც კი, შეიძლება ადგილი ქონდეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამის ნათელი მაგალითია გასული საუკუნის 90-იანი წლების I ნახევრის საქართველო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკის კონვერსია, რაც გამოიხატა ეკონომიკის ლიბერალიზაციაში, საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრებაში, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ გარდაქმნებსა და ა.შ., უდავოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა მშპ-ის მკვეთრ შემცირებას, ინფლაციისა და უმუშევრობის სწრაფ ზრდას, ჰიპერინფლაციასაც კი, რამაც გამოიწვია ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა. ამრიგად, რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესების პარალელურად, საქართველოში, გარკვეული ხარვეზებით, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ განვითარებას.

დაბოლოს, ეკონომიკური განვითარება არის **სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ანუ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის** მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ასეთი ეკონომიკა განვითარებული ქვეყნებისთვისაა ნიშანდობლივი, სადაც ეკონომიკურ ზრდასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეკონომიკურ განვითარებას ექცევა.